სამშაბათი, 21 აგვისტო 1907 წ. — წელიწადი პირველი — № 182

ახეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ... იღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს ... რედაქცია არ ინახავს. ... მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისრის"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი დირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი დირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა დირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

**მღვდელი იროდიონ გურგენიძე, მღვდელი გიორგი ციბალოვი, მეუღლე მისი ნინო იროდიონის ასული, ნიკოლოზ და თამარ გურგენიძეები, თინათინ და ნიკოლოზ ძიძიკოვები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, მეორე—სიდედრისა, მესამენი—დედისა, მეოთხე—შვილისა და მეშვიდე—დის

## მარიამ ივანეს ასულის გურგენიძისას.

ცხედარს გამოასვენებენ დასაკრძალავად დიდუბეში მღვდლის იროდიონ გურგენიძის სახლიდან 21 აგვისტოს, დილის ცხრა საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე, დილის ათ საათზედ და საღამოს ექვს საათზედ. (1—253—1)

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით
ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი

26 აგვისტოს გამოვა **ნიშადური** კარიკატურებით

პროგრამა

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ქირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ქირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი**: წლით 5 მან. 1/2 წლით 3 მან., **ცალკე ნომერი 10 კაპ.**

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წეს-წყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

<-> საჭირონი არიან <->

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შხამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილ. ს 9—11 1/2. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად 6 მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—21)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—164)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განიზა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტროთერაპიული**
## კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—14)

### ხონის სამოქალაქო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 31 აგვისტოს, 1907 წ. დილის თერთმეტ საათზედ დაბა ხონში, ამავე სასწავლებლის შენობაში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება: მოსწავლეთა საჯდომი სტოლები (პარტები)—124, საკლასო დაფები—6, სტოლები, სასტოლერო დაზგები და ჩარხი, სხვა და სხვა მიწის დასამუშავებელი და სადურგლო იარაღები, ჟესტის ფერები, მილები (ტრუბები) და სხვა და სხვა საოჯახო ნივთები. (3—6.—2)

ქალაქ ტფილისში მცხოვრები
**კატო გაბრიელის ასული როგავა**
აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი ხსნის ქალებისს სამ კლასიან
### პროფესიონალურ ჭრა-კერვის სკოლას,
სწავლა იწყება ოცდა ხუთ აგვისტოდან, მსურველს შეუძლია პირადი მოლაპარაკება ათ საათიდან ორ საათამდის. ადრესი: გოგოლის ქუჩაზე, № 53. (5—254—1)

**ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყობა ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა. (8—6.—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი წიგნი:
**ივ. ჯავახიშვილი**
საქართველოს ეკონომიური ისტორია
ფასი 40 კაპ.
საწყობი „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში. Тифлисъ. Общество грамотности. (3—6—2)

**ოეკლათის დედათა მონასტრის** ორკლასიან საქალებო სამრევლო სასწავლებლის საბჭო ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში სწავლა სწარმოებს უფასოდ, განსაკუთრებითი ყურადღებაა მიქცეული ხელსაქმეზე; მისაღები ეგზამენი დაიწყება პირველ სექტემბერს.
პატივისცემით მღვდელი **პეტრე ბაკურაძე.** (3—6—2)

## სკოლა
დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.
ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—2)

### ტფილისი, 21 აგვისტო

წინადაც რამდენჯერმე აღვნიშნავს, რომ რუსეთის კულტურულ მხარეებში, როგორც მაგალითად პოლონეთია, წმინდა კულტურული მუშაობა არ შეჩერებულა იმ დროსაც კი, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. ჩვენ მოგვყავდა მაგალითები სხვა და სხვა საკულტურო დაწესებულებათა ცხოვრებიდან, რომელნიც გვიჩვენებდნენ, რომ კულტურული მუშაობა პოლონეთის ერისა არა თუ არ შეჩერებულა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, არამედ კიდევ უფრო გაცხოველებულა და გაფართოვებულა. წარსულ კვირას ჩვენ აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ პოლონეთშიაც და ბალტიის მხარეშიაც ამ ჟამად ენერგიული მუშაობაა საერო განათლების საქმეში. ასე რომ, უფრო განვითარებულ ქვეყნებში, არც რევოლიუციის, არც რეაქციის დროს არ ივიწყებენ წმინდა კულტურულ მუშაობას; პირიქით, ასეთ არა-ჩვეულებრივს ხანებში უფრო მეტ ქურიმულს ჰპოულობენ მუშაობის გასაძლიერებლად. ეს ფაქტი უტყუარად გვიმტკიცებს, რომ ამ ერებს თავის საკუთარ ძალის იმედი აქვთ უფრო, ვიდრე „გარეშე გარემოებათა", რომელთა ევოლიუცია ვითომ თავის თავად მიგვიყვანს სასურველს ნავთსაყუდარში. ისინი ერთ წუთსაც არ ისვენებენ, ერთის წუთითაც არ აჩერებენ მუშაობას კულტურის განსავითარებლად და ხალხის თვითცნობიერების წინ წასაწევად, რადგან იციან, რომ დღევანდელს პირობებში კულტურით ჩამორჩენილი და განუვითარებელი ერი დაჩაგრული იქნება, რაც უნდა კარგი „გარეშე გარემოებანი" დამყარდნენ. პოლონეთის ხალხი და საზოგადოება არავისზე ნაკლებ არ იყვნენ გატაცებული პოლიტიკურის ბრძოლით და არავისზე ნაკლებ არ იტანჯებიან ახლა რეაქციისაგან; მაგრამ არც მაშინ, არც ამ ჟამად თვითმოქმედებისათვის არ უღალატნიათ და დაუღალავად განაგრძობენ მუშაობას თავის სულიერ და ხორციელ ცხოვრების პირობათა გასაუმჯობესებლად. მოითხოვდნენ და იბრძოდნენ, მაგალითად, სკოლის ნაციონალიზაციისთვის, მაგრამ გულზე ხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ ამ ნაციონალიზაციის მოლოდინში; წინააღმდეგ, ისინი ცდილობდნენ პრაქტიკულად განეხორციელებინათ თავისი მოთხოვნა და თავის იდეალის მიხედვით შეექმნათ სკოლა, რომლის დაარსებას რუსეთის მთავრობისაგან ამაოდ მოელოდნენ. ასეთსავე თვითმოქმედების განვითარებას ვატყობთ ამ ჟამად ესტებს, ლატიშებს, რომელნიც წინად თითქმის არც-კი იჩენდნენ სიცოცხლის ნიშნებს. ყველა გაფაციცებით მუშაობს, ყველა გრძნობს, რომ მთავარი მნიშვნელობა აქვს საკუთარ ძალების განვითარებას და არა სხვის ხელში ყურებას და სხვისგან მოწყალების მიღებას, თუნდაც ეს სხვა რუსის ბიუროკრატია-კი არ იყოს, არამედ „გამარჯვებული რუსის ხალხი"...

საუბედუროთ, ჩვენ, ქართველებს, რაღაც ისტორიულ სენად დაგვჩემდა სხვის ხელში ცქერა და „გარეშე გარემოებათაგან" ხსნის მოლოდინი თვითმოქმედება, საკუთარ ძალების იმედი არც წინად გვქონია, არც ეხლა გვაქვს. წინად თუ მთავრობისაგან, ბიუროკრატიისაგან მოველოდით ჩვენის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, ახლა ვუცდით რუსის ხალხის გამარჯვებას იმ იმედით, რომ მაშინ გამოგვიჩნდება ედემი, დაგვიდგება დარი. ამიტომაც, განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს გატაცებით მივეცით თავი „პოლიტიკას" და სრულებით დავივიწყეთ ის მცირე კულტურული მუშაობაც, რომელიც წინა წლებში გვქონდა დაწყებული. ხოლო ახლა, რეაქციის მძვინვარების დროს, ვზივართ მოდუნებულნი, სულით დაცემულნი, დაბნეულნი და არ ვიცით, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ. ვხედავთ, რომ ხალხი უმეცრებაში ცხოვრობს; ვხედავთ, რომ ტერრიტორია ხელიდან გვეცლება და ყოველი მეზობელი, როგორც დაბალ ღობეს, გვიბრიყვებს; ვხედავთ, რომ ყოველ მხრით ჩამორჩენილნი ვართ. მაგრამ თვითმოქმედების უჩვეულნი, ისევ განვაგრძობთ უბრალოდ ყოფნას და ოცნებას, რომ აი დღეს, აი ხვალ „გარეშე პირობები" გამოიცვლებიან და ბედნიერებას მოგვიტანენ. დიაღაც შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ეს წყეული „გარეშე პირობები" გამოიცვლებიან, რუსეთი დააღწევს თავს კრიზისს და იწყებს ნორმალურ ცხოვრებას. მაგრამ ჩვენ რას მოგვიტანს ის დრო? მაშინ დაიწყება ინტენსიური პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, მაშინ დაიწყება გაორკეცებული ბრძოლა არსებობისთვის და იხეირებს ის ერი, რომელიც უფრო მაგარი იქნება, უფრო მომზადებული, უფრო განვითარებული. რუსეთში სოციალიზმი კი არ დამყარდება ახლო მომავალში, არამედ პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც თვითმოქმედების ჩვეულთ მეტ საშუალებას მასცემს თავის საკუთარ ინტერესებისთვის ბრძოლის გასაძლიერებლად. მაშინ ჩამორჩენილთათვის უარესი დრო დადგება, რადგან ძლიერნი უფრო ჩქარის ნაბიჯით წავლენ წინ და უფრო განვითარდებიან, სუსტნი კი უფრო ჩამორჩებიან და დაიჩაგრებიან. ამის შეგნება ამუშავებს დღეს მაჯველ პოლონელთაც, ლატიშთაც და სხვა ერთაც, რომელნიც ჩვენსავით სხვის ხელში შემაყურალნი არ არიან და თავის საკუთარ ძალების იმედი აქვთ. ჩვენ, ქართველებს, სხვებზე მეტი მუშაობა გვჭირია, რადგან შედარებით განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ. გარს გვარტყია მრავალი სხვა და სხვა ერი, რომელნიც დროთა ვითარების გამო სულ ჩვენს ქვეყანას ეტანებიან. თუ თვით მოქმედების უნარს არ გამოვიჩენთ და ენერგიულად არ ვიმუშავებთ ჩვენის სულიერისა და ნივთიერის ცხოვრების გასამაგრებლად, ჩვენი მომავალი დიდ განსაცდელს მოგვივლენს.

### შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ
**ოფიციალური განცხადება**
(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტერბურგის საოლქო-სამხედრო სასამართლომ 7-დან 16 აგვისტომდე გაარჩია საქმე შესახებ შეთქმულებისა წინააღმდეგ ხელმწიფე იმპერატორისა, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინისა. გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ასე ყოფილა მოწყობილი:

1906 წ. ზაფხულში, ახალ პეტერგოფში სასახლის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს შვილი ვლადიმერ ნაუმოვი 25 წლისა, გაეცნო ხელმწიფის დამცველ რაზმის ერთ კაზაკს. პირველ დღიდანვე ნაუმოვმა ლაპარაკი ჩამოუგდო კაზაკს რუსეთის მოუწყობლობაზე, ამხედრებდა მას არსებულ წყობილების წინააღმდეგ, ურჩევდა ამხანაგებისთვის თვალები აეხილა და მოეკლა სასახლის კომენდანტი გენერალი ტრეპოვი. კაზაკმა ეს ამბავი უფროსებს შეატყობინა. კაზაკს ნაბრძანები ჰქონდა ნაუმოვს არ მორიდებოდა, რათა ამ რიგად გაეგოთ ნაუმოვის აზრი. ნაუმოვი მოსკოვში წავიდა და 1907 წ. იანვარში ისევ უკან დაბრუნდა და პირდაპირ უთხრა კაზაკს, რომ მას ეკისრნა ხელმწიფის მოკვლა, რადგან შენ ხშირად ახლო ხარ მასთანაო, ან თოფი ესროლე და ან ხმლით აჩეხეო. ამასთან ნაუმოვი აღვიძებდა კაზაკის თავმოყვარეობას და არწმუნებდა, რომ ის სამშობლოს მხსნელი გახდება, მისი სახელი ისტორიაში ჩაიწერება და სოც.-რევოლიუც. პარტია მას ხელადვე გმირად გამოაცხადებს. კაზაკმა ცივი უარი განაცხადა ამაზე. ნაუმოვმა სთხოვა რევოლ. პარტიისთვის საჭირო ცნობების მოწოდებით დახმარება გაეწია და გამოჰკითხა იმის შესახებ, თუ როდის დასეირნობს ხოლმე ხელმწიფე ბაბოლოვის ბაღში, როგორ არის დაბანაკებული მცველთა რაზმი და როგორ შეიძლება ბაღში შეპარვაო. კაზაკმა დაუსახელა ის ადგილი ბაღისა, სადაც ხელმწიფე ხშირად დასეირნობდა. ნაუმოვმა სთხოვა ბაღის გეგმის დახატვა და შესწავლა იმ ბაღის ყველა ბილიკებისა, რათა შემდეგში უფრო დაწვრილებით შეედგინა გეგმა. ლაპარაკის დროს კაზაკმა ყურადღება მიაქცია როიალს. ნაუმოვმა უთხრა, გალობას ვსწავლობ და კარის მგალობელთა გუნდში ვაპირობ შესვლასაო. გამოთხოვებისას ნაუმოვმა უთხრა, სხვებსაც გაგაცნობ, მხოლოდ მათთან არაფერი არ დამალოვო. ორივენი შეთანხმდნენ: ნაუმოვს წერილით უნდა შეეტყობინებინა კაზაკისთვის დრო და ადგილი სხვა ამხანაგების გასაცნობად. ნაუმოვმა ასეთი პაროლი მისცა კაზაკს: ოთახში შესვლის დროს მას უნდა ეთქვა: „მე ვლადიმერ ალექსანდრეს-ძისგან ვარ გამოგზავნილი; შემდეგ უნდა ეკითხნა: „აქ არის ოლგა ალექსანდრეს ასული?" პასუხად მიიღებდა: „ოლგა მე ვარ." მასთან კაზაკს გულახდილად უნდა დაეწყო ლაპარაკი. ბინის საპოვნელად ნაუმოვმა კაზაკს წმინდა ვიზიტის ბარათი მისცა და უთხრა, რომ იმ ოთახის კარებზე ასეთივე ბარათი იქნება მიკრულიო.

ერთი კვირის შემდეგ კაზაკმა ასეთი ბარათი მიიღო: „ჩემო ძვირფასო კოლა! ეხლა მე ვცხოვრობ სადოვაია ქუჩაზე, სახლი № 80, ბინა № 3. როცა შეიძლებ, ჩემთან მოდი, ოთხიდან ექვსის ნახევრამდე. დააჩქარე. შენი მოსიყვარულე ოლგა." აღმოჩნდა, რომ კაზაკი უნდა მისულიყო ალექსანდრის ლიცეის აღმზრდელ კონსტ. ემის ბინაზე. რომელიც კაზაკმა ადვილად იპოვა კარებზე გაკრულ ბარათით. მასზე ეწერა: „კონსტ. გუსტ. და ანტონია მაგნ. ემე." ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ბარათი კაზაკს ანტონია ემემ მისწერა.

კაზაკმა პაროლი სთქვა. სახლში იგი თითონ ემემ შეუშვა. კაზაკმა იკითხა: „აქ არის ოლგა ალექსანდრეს ასული?" მას მიეგება ქალბატონი ანნა პიგიტი, რომელიც პეტერბურგში ნინო ზაპინიანცის პასპორტით ცხოვრობდა.

ლაპარაკში პიგიტმა უთხრა კაზაკს, შენ ჩვენთვის ძალიან საჭირო ხარ, რადგან სასახლესთან ცხოვრობ და საჭირო ცნობებს მოგვაწვდიო. ელაპარაკებოდა შესახებ პეროვსკის ქალისა და მის მნიშვნელობისა, მაგრამ დაწვრილებით თავისი გეგმა კაზაკს არ უამბო, რადგან ვიღაცას ელოდა. კაზაკმა არ მოიცადა, დაუნიშნა სხვა დრო და წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კაზაკი ხელმეორედ შევიდა იმავე სახლში. მას პიგიტი და ბინის პატრონი დახვდნენ. მარტო რომ დარჩნენ, პიგიტმა ისევ დაიწყო ლაპარაკი, საჭიროა დიდი მთავრისა და სტოლიპინის მოკვლაო. მოვიდა ნაუმოვი და სთქვა, ეხლავე მოვა კაპიტანიო (აღმოჩნდა, რომ „კაპიტანს" ეძახდნენ სამსახურიდან გასულ ფლოტის ლეიტენანტს ნიკიტენკოს, ან მის მოადგილეს); ისიც გ ნაცხადა, თუ არავინ მოვიდა, კაზაკმა გულახდილად უნდა ილაპარაკოს პიგიტთანაო. მალე მოვიდა კაპიტანის მოადგილე, ვინმე პურკინი, რომელმაც სასამართლოში განაცხადა, რომ ის პეტერბურგის უნივერსიტეტის ნასტუდენტარია, გვარად სინიავსკი, რომ ის არხანგელის გუბერნიაში იყო გადასახლებული, მაგრამ იქიდან გამოიპარა. ახალმა ნაცნობმა კაზაკს დაწვრილებით გამოჰკითხა, შეუძლიან თუ არა უცხო კაცს კაზაკის ტანისამოსი ჩაიცვას და სასახლეში შევიდესო, სად შეიძლება ასეთი ტანისამოსის შეკვეთა და რომელ შენობიდან უფრო მოხერხდება იმ ოთახის აფეთქება, სადაც ხელმწიფე იმყოფებაო. მისი თხოვნით იქვე დახატეს გეგმა ცარსკოე სელოს სასახლისა და იმ კარებისა, საიდანაც შეიძლებოდა სასახლეში შეპარვა.

მესამედ კაზაკი მივიდა სინიავსკის მიერ ნათქვამ ბინაზე, ნიკოლ. ქუჩაზე სახლი № 14, ბინა № 33, სადაც ცხოვრობდა კურსისტკა ვერა პედკოვა. პაროლი ასეთი იყო: „შინ არის ვერა ალექსანდრეს ასული?“ კაზაკი მივიდა ამ ბინაზე. პედკოვისა შინ არ დახვდა, მაგრამ მას ეთქვა მოსამსახურისთვის, რომ ესა და ეს კაცი უნდა მოვიდესო. ერთი საათის შემდეგ მოვიდა სინიავსკი, რომელმაც სთქვა: უნდა მოვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაიარებიან ცარსკოე სელოში მინისტრი სტოლიპინი და დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეო. გადასწყვიტეს, რომ კაზაკს მისთვის უნდა ეგზავნა დეპეშები. ასეთი შინაარსის დეპეშა —„მოდით, ავად გავხდი“ — ნიშნავდა დროს დილის 10 საათიდან შუადღემდის, „ავად გავხდი“—ნიშნავდა საღამოს 5—10 საათამდე; „სტეფანე და ბიძა“ ნიშნავდა დიდ მთავარს; „ივანე და მამა“ ნიშნავდა სტოლიპინს. ამ რიგად დეპეშა „მოდით, ივანე ავად გახდა“ ნიშნავდა იმას, რომ მინისტრი მიდიოდა საღამოს 5—10 საათამდე. ამ სიტყვების დასახსომებლად სინიავსკიმ ორ ფურცელზე დასწერა ეს სიტყვები, ერთი თვითონ დაიტოვა და ერთი კაზაკს მისცა. დეპეშის ადრესი ასეთი იყო: კიროჩნის ქუჩა, 26, ბინა 6, ფედოსი ნიკიტენკოს. ეს ბინა ეკუთვნოდა ნაფიც ვექილს ფედოსიევს.

13 მარტს კაზაკი უკანასკნელად შეხვდა ამ ხალხს. როცა კაზაკი პეტერბურგიდან ცარსკოე სელოში დაბრუნდა, ყველაფერი შეატყობინა მთავრობას, თავი დაანება მათთან მოლაპარაკებას და რაც მასალა ჰქონდა—ორი წერილი, ვიზიტის ბარათი და ფურცელი, სადაც დეპეშების სიტყვები იყო ჩაწერილი, გადასცა იქ, სადაც ჯერ არს. იმ დღიდან, როცა კაზაკმა ნაუმოვი გაიცნო, პოლიციამ თვალყურის დევნა დაუწყო ყველას, ვისაც ნაუმოვთან მოლაპარაკება ან ნაცნობობა ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ნაუმოვს მოლაპარაკება ჰქონდა ვინმე სოც.-რევოლ. შტიფტართან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ფონ-ლაუნიცის მოკვლაში და რომელიც შემდეგ ჩამოხრჩობილ იქმნა. თვალყურს ადევნებდნენ აგრეთვე გრონსკის, რომელიც ჩამოხრჩობილ იქმნა იმავე საქმეში მონაწილეობის მიღებისთვის, და „ამხანაგ ირინას“. აღმოჩნდა, რომ ირინა თებერვალში დასახლდა სამსახურიდან გასულ ლეიტენანტ ნიკიტენკოსთან, იაროსლავის ქუჩაზე, სახლში № 1. იმათსა სცხოვრობდა ერთი ქალი, რომელიც ყველას მოსამსახურედ აცნობდა თავს და ამბობდა—გლეხის ქალი დარუშიჩევა ვარო, ნამდვილად-კი აღმოჩნდა ინტელიგენტი ქალი მარიამ პროკოფიევა—ღვიძლი და იმ პროკოფიევისა, რომელიც დაიღუპა პეტერბურგში 1906 წელს „გრანდოტელის“ სასტუმროში, როდესაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. პროკოფიევა კარგი ნაცნობი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მკვლელის საზონოვისა, რომელთანაც საპატიმროში ხშირად დადიოდა დანიშნულის სახელით. როგორც გამოირკვა, ნიკიტენკოსა და ირინეს ურთიერთობა ჰქონდათ ნაუმოვთან, სენიავსკისა, პიგიტსა და კოლოსოვსკისთან, რომელნიც სამართალში იქნენ მიცემული და რომელთაც ჰბრალდებოდათ ს.-რევოლიუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციის წევრობა; ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე ლიუსკევიჩისა, ბიბერგალის ქალსა, სტახოვიჩსა, სპერანსკისა და ბულგაკოვკისთან. ეს უკანასკნელი სასამართლოში გამოტყდა, რომ იგი ოდესის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი როგალსკია. ოდესაში იგი სამართალში ყოფილა მიცემული, მაგრამ დამალულა. გამოირკვა, რომ ნიკიტენკო, ნაუმოვა, კოლოსოვსკი, სენიავსკი, პიგიტი და სპერანსკი ხშირად ჰხვდებოდნენ სხვებს და მოლაპარაკება ჰქონდათ. იკრიბებოდნენ ხან და ხან ნაფიც ვექილის ფედოსიევის და იმის ცოლის ბინაზე, ნაფიც ვექილის ტარასოვის და იმის ცოლის ბინაზე, ნაფიც ვექილის ჩიაბროვის ბინაზე და აგრეთვე ბრუსოვის ბინაზე. როგალსკის შესახებ გამოირკვა ისიც, რომ იგი სევასტოპოლში წავიდა, რასაც კავშირი ჰქონდა სოც. რევოლიუციონერების ტავრიდის კომიტეტის განზრახვასთან—მოეწყოს მკვლელობა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, რომელსაც ყირიმში 16 აპრილს მოელოდნენ.

ყველა ზემოდ დასახელებულნი, დამალულ ირინესა და სპერანსკის გარდა, 31 მარტიდან დაწყებული სხვა და სხვა დროს დააპატიმრეს ზოგიერთების გაჩხრეკის დროს თვალსაჩინო რამ აღმოაჩინეს. ნიკიტენკოს აღმოაჩნდა რამდენიმე ყალბი პასპორტი, კონსპირატიული მიწერ-მოწერა, ქაღალდი, სადაც აღნიშნული იყო ის გზა, რომლითაც შეიძლება ცარსკოე სელოს სასახლესა და ხელმწიფის კაბინეტში შესვლა, ორი წერილი: ერთში ავტორი, ვიღაც ვ. კ. სწერდა: „(სიტყვა „შორის“ ნიშნავდა დიდ-მთავარს, რომლის მოკვლაც უნდოდათ 1905 წელს 13 თებერვალს, როდესაც ცარსკოე სელოში რკინის გზის ლიანდაგზე ასაფეთქებელი ნივთიერება დასდეს) და ჰკითხავდა ნიკიტენკოს, უნდა თუ არა ის ტანისამოსი, რომელიც მან ნიკიტენკოსთვის მოამზადა. ნახეს იქ აგრეთვე ორი დეპეშა ცარსკოე სელოდან, გაგზავნილი 30 მარტს ფედოსიევს სახელზე, ნიკიტენკოსთვის გადასაცემად. დეპეშებში ნათქვამია: ერთში—„მოდით. სტეფანე ავად გახდა“; მეორეში—„მოდით. ივანე ავად გახდა“. ფედოსიევებს უპოვნეს დიდძალი რევოლიუციონური ლიტერატურა, უმთავრესად ჯარში გასავრცელებელი, დიდი მიწერ-მოწერა კრონშტადტის სამხედრო აჯანყების ორგანიზაციის შესახებ. ამ მიწერ-მოწერაში აღნიშნულია ის მიზეზებიც, რამაც აჯანყებას ხელი შეუშალა. იქვე ნახეს სია სამხედრო გემების კამანდებისა. სიაში მოკლედ დახასიათებულნი იყვნენ მეზღვაურნი—რამდენად არიან ისინი რევოლიუციით გატაცებულნი. ამის შესახებ ჟანდარმთა გამგეობამ განსაკუთრებული გამოძიება დაიწყო და ფედოსეევის ცოლი პასუხის გებაში მისცა. პედკოვას უპოვნეს უბის წიგნაკი შიფრით, ადრესებით, სადაც აღნიშნულია, სხვათა შორის, ადრესები ჩიაბროვისა, ტარასოვის და ბრუსოვისა; ამავე წიგნაკში შენიშვნაა იმ ვალის შესახებ, რომელიც ჰმართებიათ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის კასსისა. ოლგა ტარასოვას უპოვნეს საკუთარი ხელით ნაწერი ბარათი, სადაც აღნიშნულია რუსეთის რომელ კუთხეში გაიგზავნა სარევოლიუციო ლიტერატურა. უპოვნეს აგრეთვე წერილი, რომელშიაც ერთ წერილში უცნობი ავტორი სწერს: მე და ჩემმა ამხანაგებმა მხოლოდ ტარასოვასა და ეკატერინა ალექსანდრეს ასულში ვიპოვნეთ ნამდვილი ს.-რევოლიუციონერები, პარტიის ხერხი და თითქმის ენტუზიასტებიო. ეკატერინა ალექსანდრეს ასულ ბიბერგალს უპოვნეს ყალბი პასპორტი სტახოვიჩის სახელზე (ამ პასპორტით თითონა ცხოვრებდა) პასპორტები მელანია და ანტონ პოლტაცკების სახელზე, ს.-რევოლ.—თა პარტიის მიერ გაცემულ „სალდატსკაია გაზეტა“-ს მე-7 ნომერის 480 ცალი, ბევრი ქალაქგარეთელის ადრესი და წერილი ადესსიდან, რომლითაც სთხოვდნენ ეცნობებინა ადრესი იმ სამხედრო მოსამართლისა, რომელმაც ფლოტის მკვლელი ორი მატროსი გაამართლა.

ყველაზე უფრო საყურადღებო ნაუმოვის ჩვენება იყო. როგორც თითონ განაცხადა, 1906 წელს ნოემბერში სატეხნოლოგო ინსტიტუტის სასადილოში გაუცვნია შტიფტარი. როცა შტიფტარს შეუტყვია, რომ ნაუმოვი ცუდად ცხოვრობს და ცხოვრების სახსარი არა აქვსო, მიუწვევია ზვერინსკის ქუჩაში, სადაც დანიშნულ დროს ამხანაგები შეიკრიბებიანო ნაუმოვი მართლაც მისულა და უნახავს იქ ბევრი ხალხი, რომელნიც თითო თითოდ შემოდიოდნენ და იმათთან მოლაპარაკების შემდეგ, ვისთანაც საქმე ჰქონდა, ისევ მიდიოდნენო. ნაუმოვი მიხვედრილა, რომ ეს ბინა იყო სარევოლიუციო ორგანიზაციისა. საწინდაწინო გამოძიების დროს ნაუმოვმა სთქვა, რომ ბინა ალექსანდრე ზავადსკის ეკუთვნოდაო, მაგრამ სასამართლოში გადასთქვა, არ ვიცი, ვისი ბინა იყოო. ამ სახლში მას შეხვედრია შტიფტარი და ნიკიტენკო, რომელსაც კაპიტანს ეძახდნენ. ნიკიტენკოს უთქვამს, როგორც მეზღვაურად ნამყოფს, ძლიერ მაინტერესებს ფლოტში მღელვარების საქმეო და როცა ნაუმოვს შეუნიშნავს, რომ მღელვარებამ მისი უდიდებულესობის საკუთარ კონვოიშიაც იჩინა თავიო, ნიკიტენკო ძლიერ დაინტერესებულა ამ ამბით და ნაუმოვისთვის დაწვრილებით გამოუკითხავს: ხშირად დაიარებით თუ არა პეტერგოფსა და ცარსკოე სელოშიო. გამოთხოვების დროს კი უთხოვნია, ნება მომეცით თქვენსა მოვიდე ხოლმეო. ნაუმოვი დათანხმებულა და თავისი ადრესი მიუცია.

ნიკიტენკომ სხვა და სხვანაირი ჩვენება მისცა შესახებ თავის მოლაპარაკებისა ნაუმენკოსთან. პირველად მან უამბო ნიკიტენკოს და სთხოვა მას მიეცა მისთვის საჭირო ცნობები და რაც საჭირო იყო, დაეხარჯნა, მერე შტიფტართან ერთად აქეზებდა, ხელმწიფე მოჰკალი ან ყუმბარით ან ხანჯლითაო. ამისთვის საჭირო იყო, რომ ნაუმოვი ხელმწიფეს მისწვდომოდა, ამიტომ ურჩიეს სახლის მგალობელთა გუნდში შესვლა, მისცეს გალობის შესწავლისთვის საჭირო ფული, ერთდროინდელ დახმარების გარდა თვეში 200 მანეთზე მეტს აძლევდნენ, ხოლო 13 მარტს მან მიიღო 150 მან. გარდა ჯამაგირისა. სამართალში მან უარი განაცხადა, ნიკიტენკოს არ წავუქეზებივარო: მაგრამ სთქვა, ნიკიტენკოსგან 125 მანეთს ვიღებდი თვეშიო. კაზაკთან ნაცნობობა და ლაპარაკი უარ ჰყო, მხოლოდ ხელმწიფის მოკვლის შესახებ არაფერი მითქვამსო. გალობის მასწავლებელმა სთქვა, რომ ნაუმოვი აჩქარებდა გალობის შესწავლას, სამ-ოთხ თვეში უნდა მოვემზადოვო. ნიკიტენკომ სასამართლოში აჩვენა შემდეგი: ჯერ კიდევ, როცა ფლოტში ვმსახურებდი, თანაგრძნობი ვიყავ ს.-რევოლიუციონერებისა, თუმცა მაგათ არ ვეკუთნოდი. სამსახურის თავის დანებების შემდეგ პეტერბურგში გადმოვედი საცხოვრებლად და აქ უფრო მჭიდროდ დავუახლოვდი პარტიას, რადგან მსურდა შემეწირა ჩემი ძალ-ღონე პარტიის იმ მოქმედებისათვის, რომელიც ჩემთვის უფრო შესაძლებელი და შესაფერი იქნებოდა. როცა პარტიის ორგანიზაცია გავიცანი, გადავწყვიტე პარტიული მებრძოლი [illegible] ხდარიყავი. ასეთი ხელობა ჩემი ნიჭს და უნარის შესაფერი იყო. მაგრამ ამ დროს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოესპო ტერრორი,—რადგან [illegible] თავისი სიტყვა შეასრულა მეორე სათათბიროს მოწვევის შესახებ, და გარდა ამისა ტერრორიც გახშირდა და ხალხის თვალში შთაბეჭდილებას აღარ ახდენს პარტიის ამ გვარ ტაქტიკას, რომელიც სავალდებულო იყო ყველა წევრისათვის მე არ თანავუგრძნობდიო, სთქვა ბრალდებულმა, და ამიტომ პარტიის ოფიციალურ წევრად არ შევსულვარ, სანამ პარტია აზრს არ შეიცვლიდა და ტერრორის განახლებას საჭიროდ არ სცნობდა, მე პირად ჩემი პასუხის გებით ქვეშ საჭირო ცნობების შეკრებას შევუდექი, რომ შემდეგში პარტიისათვის გამომეყენებინა, როცა განიზრახავდნენ ვინმე დიდ კაცის მოკვლას. კერძოდ ხელმწიფის მოკვლა სახეში არა მქონია.

სასამართლოში წაიკითხეს ნიკიტენკოს მამის წერილი, გაგზავნილი უმცროს შვილისადმი მაშინ, როცა ნიკიტენკო ფლოტში მსახურებდა. მამა ძლიერ ნაღვლობს, რომ იმ-სმა ბორისმა აზრი შეიცვალა და რევოლიუციონერობა დაიწყო ამგვარი რწმენით ფლოტში სამსახური შეუძლებელია და უკეთესი იქნება სამსახურს თავს დაანებებდესო. მის ფიქრით, ბორისმა აზრი შეიცვალა ოლგა ტარასოვის გავლენით. ბოლოს მამა სწერს: ბორისი იმით გაათავებს, რომ „დობროვოლნი ფლოტში“ სამსახურში შესვლის მაგივრად ტერრორისტობას დაიწყებსო.

ბოლოს, სინიავსკიმ აჩვენა შემდეგი: როცა 1905 წლის დამლევს, ადმინისტრატიულ წესით გადასახლების შემდეგ, დავბრუნდი, ს.-რევოლიუციონერების ცენტრალურ კომიტეტის მებრძოლ ორგანიზაციას წინადადება მივეცი საქმეში გამოვეყენებინე, მაგრამ უარი მითხრეს. მაშინ დავუახლოვდი იმ ხანებში დაარსებულ უპარტიო სამხედრო-სარევოლიუციო ორგანიზაციას, რომლის წევრიც ვიყავი დაპატიმრებამდეო. თუმცა ხსენებულ ჯგუფის ტაქტიკაში ტერრორი არ შედის, მაგრამ სინიავსკი, როგორც თვითონ განაცხადა, მუდამ მომხრე ყოფილა ტერრორისა. მას სწამდა დიდი ტერრორი, ხოლო წვრილ ტერრორზე, როგორც, მაგალითად, მთავრობის დაბალ მოხელე-აგენტების მოკვლას, არ თანავუგრძნობდიო. ამ საქმის შესახებ სინიავსკიმ სთქვა: მართალია კონვოის კაზაკთან, რომელიც ნიკიტენკომ მიჩვენა, დ[...]

# ფელეტონი

## პასუხი განუსჯელთადმი

(შემდეგი *)

არ შემიძლია არ შევეხო ავტორის წერილში ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილებს, რომელნიც ნათელ ჰყოფენ ჩემთვის ავტორის **უმიზეზო** წყრომას; ისეთ ნაირად აქვს დაკარგული ყოველივე წრე ავტორს, რომ ხან შარსა მდებს და ხანაც პირდაპირ სისულელეებსა სჩმახავს. ავტორს წარმოუდგენია, რომ საზღვარგარეთელი „ჩვენი თავის მოშჭრელი“ მუშაა, ან ვინმე გიმნაზიასა და უნივერსიტეტში უსწავლელი, და წარმოუდგენია სწორედ, რადგან ჩემ წერილებში არაფერი არ იყო მის საზოგადოებრივ მდგომარეობაზედ. მაგრამ თუ მართალი გინდათ, რომ შეიტყოთ, ბ-ნო ავტორო, —ის ვაჟბატონი **მგონი** გიმნაზიაშიაც სწავლობდა და უნივერსიტეტშიაც სწავლობს... იქნებ „იმერული მჭადით კბილებგამოლესილმა“ შეგიყვანათ შეცდომაში? მაგრამ, თქვე დალოცვილო, ნუ თუ გგონიათ, რომ იმერეთში გიმნაზიელები და სტუდენტები მჭადს არ მიირთმევენ? მე კი ბევრი ვიცი, რომ მჭადიც აკლიათ. და სწორედ უბედურებაც ის არის, რომ ამ საცოდავებს ეს მჭადი რომ მოაკლდეთ, შიმშილით დაიხოცებიან და უბედურებით აღსავსენი. კრილოვის არაკის გმირივით მუხას ქვეშ, საქართველოს ლანძღავენ. მე ბევრი მინახავს უცხოეთიდან დაბრუნებული საქართველოში თავის გამხმარ მჭადის ლუკმისათვის, შიმშილით რომ კუჭი გახმობიათ საფრანგეთში, რომ კაცს ზედაც არ შეუფურთხებია!..

შემდეგი აბდა-უბდის კრიტიკისათვის არა მცალიან, ავტორისათვის მიმინდვია იმის ღრმა ფილოსოფიის გამორკვევა: „მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს, —როგორც სოციალურ და კულტურულ ჯგუფს, აქვს უფლება იცხოვროს ისე, როგორც მოუხერხდება და სურს (ჩვენ მაგას ვამბობთ და თქვენ-კი მაგისთვის გვიწყრებით. [13]), მიუხედავად ამისა თვითოეულ მის წევრს ან მრავალს აქვს უფლება ინატროს რუსობა, იმდენად, რამდენად აკმაყოფილებს ეს მის ადამიანურ და არა ქართულ მოთხოვნილებას“.— ვეტყვით მხოლოდ ჩვენს ოპპონენტს, რომ საოცარი მეტაფორმოზა ხდება ამ ნატვრაში რუსისა ადამიანურ მოთხოვნილებად, — თუ კი არსებობს საერთოდ ადამიანური მოთხოვნილება და კერძოდ ქართული და, მაშასადამე, რუსული, ფრანგული და სხვ!.. „თუმცა,—საკვირველ არიან საქმენი თქვენი, ბ-ნო კრიტიკოსო, ვერა მიუწვდეს გონება ჩემი ღრმასა აბდა-უბდასა თქვენსა.

შემდეგ ავტორს ძლიერა სწყინს—როგორ გაბედეთ და იდიოტის იდიოტობა გეწყინათო. აქაც სოციალიზმსა და ნაციონალიზმს სჩრის ულაგ-ულაგოდ. რა შუაშია აქ ან ერთი და ან მეორე, როდესაც კაცს სისხლი მოუვა ყელში, ისეთ რამეს იზამს ხოლმე საჯაროდ ადამიანი, რომელთანაც რაღაც საერთოს გრძნობ — ან ეროვნულს, ან ნათესავურს, ან პარტიულსა და ან სხვა რამეს! მე ქართველი ვარ და ქართველის იდიოტობის გარედ გატანა, რასაკვირველია, მეწყინება, ისე როგორც თქვენ „ანარქისტი“ ბრძანდებით და თქვენის ამხანაგების „exploids“ რომ გაიგებს ქვეყანა, სხვა, ალბად, გეწყინებათ. თქვე დალოცვილო, რაც შენ ითქმის, ის ჯარედ რომ ითქმოდეს, აქამდე სიმონ წერეთელი პარლამენტში ლაპარაკით ს.-დ.—ებს დიდ სახელს მოუხვეჭდა, და ღომთათიძე კი კონგრესებზედ, რასაკვირველია, ასახელებდა „კავკასიის ჯგუფს“ „რ. ს. დ. მ. პ—სას“; მაშინ საქმე იქამდისაც მივა, ცოლ-ქმრის შინაური ჩხუბი ქუჩაში რომ გამოვა, რომ სარცხვილი აღარ იქნება ოჯახისათვის. სხვა არა იყოს რა, ის მაინც ეწყინება ადამიანს, რომ ერთი ადამიანის მიხედვით უცხო კაცი მთელ ერს აფასებს ხოლმე, ან მთელ პარტიას, ჯგუფს. მართალი მოგახსენოთ, ისიც მეწყინება, რომ ყველა ანარქისტები თქვენი მიხედვით დაფასონ, და ამაზედ ნურას უკაცრავად, ნუ დამემდურებით! კრიტიკოსი ისე გაწიწმატებულა, რომ გაიძახის: „დიახ, არ არის ქართველობა სასურველი მაშინ, როდესაც ქართველობას ისეთი პარტიები ჰყავს, როგორც ს.-ფ—ის პარტია, ისეთი მოღვაწეები, როგორც B-ი, ისეთი ეგზემპლიარი მიმართულებით, როგორც დემოკრატ ანარქისტი და სხვა. მაგრამ ქართველობა რა შუაშია? ვთქვათ, რომ ყველა ესენი არაფრად არ ვარგიან—თქვენ იყავით კარგი ქართველი, ბ-ნო ანარქისტო? მაგრე რომ ვსაჯოთ, აღარც ფრანგობა ვარგებულა, რადგან იქ იყვნენ ისეთი მხეცები, როგორც ტიერი, ისეთი ნაციონალისტები, როგორც რაშფორი, ისეთი რომანისტები, როგორც კოპპე და ისეთი პოეტები, როგორც როსტანი! მაშინ აღარც ანარქისტობა ვარგა, რადგან ის მიმართულება, სადაც თქვენა ხართ, ჩემთვის ხომ სამარცხვინო უნდა იყოს. მაგრამ დარწმუნდით, რომ მე არა მრცხვენიან ანარქისტობა, ამასთან ქართული ანარქისტობა, თუმცა თქვენც ქართველი ანარქისტი ხართ. ყოველ შემთხვევაში, მთელ ერს ვერ გაგვსვრის ერთი წუნკალი, ისე როგორც მთელ პარტიასა და მიმართულებას ვერ გასვრის ერთი თქვენისთანა დეგენერატი. რაც შეეხება ანარქისტს-დემოკრატს— будьте поскромнѣе, იმის მესხედ ანარქისტული საქმე გააკეთეთ და მერე აბრახუნეთ, ჯერ კი ის თქვენი ხელ-წამოსაკრავი არა არის.

ყველაზედ უფრო უცნაური ერთი რამ არის ავტორის წერილში: „ყოველ შემთხვევაში უმჯობესია კროპოტკინის, ბაკუნინის და სხვა რუსთა თანამემამულეობა, ვიდრე Bât.-ისაო“ და სხვა. მერე ვინ მოგახსენათ, რომ ჩემი თანამემამულობა სჯობიაო. ან როგორ გამოიღეთ ეგ დიდი ფილოსოფია თავიდან, რომ კროპოტკინის თანამემამულეობა სჯობია ჩემ თანამემამულეობას? კროპოტკინის თანამემამულე დუბროვინიც არის, სხვათა შორის, ჩემი თანამემამულე კი თქვენა ბრძანდებით! მერე? ნუ თუ აქედან ის დასკვნა გინდათ გამოიყვანოთ, რომ თქვენ დუბროვინი გჯობიანთ? თუ რა აზრი აქვს თანამემამულეობათა ერთი-მეორეზედ უპირატესობას? — არაფერი, მხოლოდ თქვენ გინდოდათ სულ სხვა რამ გეთქვათ, სრული უაზრობა კი წამოროშეთ. თქვენ გინდოდათ აი რა გეთქვათ: Baton-ს რუსები სძულს, მაგრამ თუ კროპოტკინი და ბაკუნინი რუსები არიან, ამიტომ სწორედ Baton-სა ჰგვანანო. აი რა გინდოდათ გეთქვათ. მართალია, არა მგვანან, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ მე ყველა რუსი უნდა მიყვარდეს, მიყვარდეს ჩვენი ქვეყნის დამღუპველი ორგანიზაცია რუსეთის მთავრობისა, რომელიც სიცოცხლეს მისპობს. იგი არც კროპოტკინს უყვარს, არც ბაკუნინს, არც ერთ პატიოსან რუს[ს], რომელნიც თქვენსავით „პოგრომშჩიკს“ არ უწოდებენ არა თუ მე, რომელსა[ც] არავითარი შოვინისტური არა მითქვამ[ს] რა, არამედ ნამდვილ ნაციონალისტე[ბ]საც, როგორიც იყვნენ გარიბალდი, კოშუტი, იპსილანტი, ობრაიენი და სხვანი.

საზოგადოდ, თქვენისთანა ბატონებ[ი] ძლიერ ხშირად ეტანებიან ხოლმე ბაკუნინს, კროპოტკინსა და რეკლიუს[ს], მათზედ აი რა უნდა მოგახსენოთ: ბაკუნინი წინად, სანამ ინტერნაციონალში შევიდოდა, გულწრფელი და ძლიერი დამცველი იყო ეროვნობათა თავისუფლებისა. მან მთელი თავისი ყმაწვილკაცობის ძალით და აღტაცებით ალიარა ჩეხთა, პოლონელთა, ყველა სლავიანთა და ყოველ ჩაგრულ ერის თავისუფლება. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მა[თ] ძლიერ მოძრაობაში.

ინტერნაციონალში შესვლის შემდეგ ბაკუნინს სრულიადაც არ უღალატნია [ამ] რწმენისთვის. ბაკუნინი დიდი მოციქული იყო თავისუფლებისა, მტერი ყოველგვარ მონობისა. მას არ შეეძლო უარ-ეყო ერთი ჩაგვრა გაბატონებულ[ი] სხვა სახელმწიფოთაგან. როდესაც რუსეთში შესდგა სოციალურ-რევოლიუციონური პარტია და პროგრამმა დაიწ[ე]რა, სწორედ ბაკუნინი და მისი ამხანაგები ჰქადაგებდნენ ამ პროგრამმაში ერთა თავისუფალ ფედერაციას, „ქვევიდან ზევით“,—**სურვილისამებრ.** ბაკუნინი სიკვდილამდის იყო მომხრე იტალიისა და ირლანდიის თავისუფლებისა და მას თავის დღეში არ უფიქრნია, რომ ხალხთა პოლიტიკური თავისუფლება „პოგრომშჩიკების“ ტრიუმფიაო, როგორც ჰგონია ჩვენ ფილოსოფოსს, ვინაიდან ბაკუნინ[...]

*) იხ. „ისარი“ № 179.

საიმედო პირად დამისახა, მქონდა დამოკიდებულება, გამოვკითხე, თუ რა ნაირად შეიძლებოდა ცარსკოე სელოს სასახლეში შესვლა, როდის მოვილოდნენ ცარსკოე სელოში სტოლიპინი და დიდი მთავარი, მაგრამ ყველა ეს ცნობა რამე გარკვეული მიზნისათვის როდი მინდოდა. ეს მხოლოდ სტატისტიკისათვის მესაჭიროებოდა, რომელსაც ნიკიტენკო ადგენდაო.

დანარჩენი ბრალდებულები თავს იმართლებდნენ და საქმეში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ.

სასამართლოში, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ ნიკიტენკო ფედოსიევის ცოლის ბიძა-შვილი ყოფილა, მსახურებდა მასთან მდივნად, იღებდა თავის წერილებს ფედოსიევის ადრესით, და როგორც ფედოსიევმა, ისე ტარასოვმა, ჩიჰბროვმა და ბრუსოვმა არაფერი არ იცოდნენ იმ კრებების შესახებ, რომელიც იმართებოდა მათ სახლში, მათი შინ არ ყოფნის დროს. ჩიჰბროვმა განაცხადა, ჩემ სახლს ხელოსანთა კავშირს ვუთმობდი კრებისათვის, რადგან მათი იურისტ-კონსულტი ვიყავიო. ბრუსოვმა სთქვა, სათათბიროს არჩევნების დროს მემარცხენე ბლოკს დავუთმე ჩემი სახლი არჩევნებისთვის მოსალაპარაკებლადაო.

## ხოლერა

(დეპეშები)

შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს: 15 აგვისტოს ასტრახანში ხოლერით ავად გახდა 74 კაცი, გარდაიცვალა 43. 16 აგვისტოს ავად გახდა 116. გარდაიცვალა 67.

ნიჟნი-ნოვგოროდში 16 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 5.

სიზრანში 15 აგვისტოს გარდაიცვალა ერთი. სიზრანის მაზრის სოფ. შედეხმეტში 12 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3.

ბუხორის მაზრაში გარდაიცვალა 1.

ვეტლუგასა, იურიევეცსა და ცარიცინში გარდაიცვალა თითო კაცი.

16 აგვისტოს სამარაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4. ნიკოლაევის მაზრასა და ორ სოფელში ავად გამხდარა ორი.

სიმბირსკში 16 აგვისტოს ასტრახანიდან მოსულ გემიდან ჩამოიყვანეს ორი ხოლერით ავადმყოფი სიზრანის მაზრის სოფ. ჩებოქსარში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2.

სარატოვში გემიდან ჩამოიყვანეს ერთი ხოლერიანი.

ცარიცინში ავად გახდა 7, ხუთიც გემიდან ჩამოიყვანეს. ასტრახანის გუბერნიაში 17 აგვისტოს ავად გახდა 118, გარდაიცვალა 62 კაცი.

## ახალი ამბავი

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** გუშინწინ საგანგებო მატარებლით ტფილისიდან ბელაჯარაში წავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი გენ. ნეიგებაუერი კავკასიის ნამესტნიკის შესაგებებლად. ნამესტნიკს ტფილისში დღეს მოელიან.

✦ **ანარქისტების გაძევება.** ბაქოდან რუსეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ შემდეგ ამბავს: „დაშნაკცაკანებმა" დააპატიმრეს რვა ანარქისტი და გააძევეს ქალაქიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლას ემუქრებოდნენ".

✦ **მაზრის უფროსის მოკვლის განზრახვა.** 18 აგვისტოს თელავის მახლობლად განიზრახეს თელავის მაზრის უფროსის ანტონოვის მოკვლა. ანტონოვი თელავიდან დუშეთის მაზრაში გადაიყვანეს და ამ დღეს იგი თელავიდან ახალ ადგილზე მიდიოდა. ეტლში მასთან ერთად მსხდარან ძმა მისი, ინჟენერი, და რიდელი, ტფ. საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი. უცნობებს სროლა აუტეხიათ მიმავალ ეტლისთვის. მოუკლავთ უფროსი სტრაჟნიკი, რიდელი ხელში დაუჭრიათ, ხოლო ანტონოვი გადარჩენილა.

✦ **ახალი საზოგადოება.** მოსკოვში დაარსებულა „ქართველთა საზოგადოება". როგორც წესდებიდან სჩანს, ქართველთა საზოგადოებას მიზნად აქვს მოსკოვში ხელი შეუწყოს თვის წევრების სულიერსა და მატერიალურს განვითარებას: შემწეობა აღმოუჩინოს ღარიბთა რისთვისაც წევრებს მიეცემათ სარგებლით და უსარგებლოდ სესხი, ერთ-დროული თუ მუდმივი შემწეობა ფულად; დაეხმარება ადგილების მონახვაში; ხელს შეუწყობს ქართველებს ხელმისაწდომ ფასად შეიძინონ საჭირო საქონელი და სხვ.; გამართავს ექსკურსიებს საგანმანათლებლო მიზნით. საზოგადოება შეეცდება გამართოს თავშესაფარები, დააარსოს სკოლები, საბავშვო ბაღები, სასადილოები, შემნახველ-გამსესხებელი კასები და სხვ. ვისაც რაიმე საქმე ექნება საზოგადოებასთან, უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: მოსკოვი, კამერგერის შესახვევი, ლიანოზოვის სახლი, მაღაზია „კახეთია" დ. ი. ყავრიშვილს.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე ქუთაისის მცხოვრები ბესარიონ ტყეშელაშვილი—ჰბრალდება ძარცვა-გლეჯა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება; პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—ქიზიყში დაპატიმრებულნი ისააკ ბოსტოგანაშვილი და იაგორ ტოკლეიშვილი—ჰბრალდებათ ნიკ. და მან. ნატროშვილების მოკვლა. ტფ. გუბერნიიდან იგზავნებიან სოლომონ არეშიძე და გაბრიელ ბადუროვი.

✦ **უმაღლესი კურსები.** კვირას, 19 აგვისტოს, პუშკინის სახელობის ბ-ბლიოთეკის დარბაზში მოხდა სხდომა ტფილისში განზრახულ უმაღლეს კურსების ლექტორებისა. განზრახულია კურსები სექტემბრის პირველ რიცხვებში გახსნან. ჯერ გაიხსნება ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილება, ხოლო ოქტომბერში სამეცნიერო საბუნების-მეტყველო განყოფილება, შემდეგ იურიდიული და ეკონომიური. პროგრამები გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული.

✦ **სანიტარ-მზრუნველები.** ქალაქის ყველა უბნებისათვის სანიტარო სამკურნალო საბჭომ, უკანასკნელ თვის სხდომაზედ, ამოირჩია სანიტარ-მზრუნველები. პირველ საპოლიციო უბანში ამორჩეულ იქმნა ნ. ს. მათეევი, ხოლო მის თანაშემწედ ვ. ვოინოვიჩი, მე-2 ნაწილში—გ. ო. ზიბერტი, მე-3-ში ს. მ. მარკოზოვი, მე-4-ში გ. ა. ჯაბარი. მე-5-ში ბ. თაიროვი, მის თანაშემწედ მ. ს. შახვერდოვი. მე-6—გ. დ. მურადოვი, მე-8 მ. ი. თოიძე, მე-9-ში ნ. ვ. აბრამიანი და ნ. ა. აბელიანი, მათ თანაშემწედ ა. ა. შავერდოვი, მე-10 ნაწილში დ. ი. ემინოვი და ა. ს. ღულაძე. ზოგიერთ მზრუნველების თანაშემწენი შემდეგს სხდომაზედ იქნებიან ამორჩეულნი.

✦ **სანიტარული მდგომარეობა.** შაბათს, 18 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, ტფილისის გუბერნატორის ბ-ნ სერნიავსკის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა მიხეილის ქუჩისა და დიდუბის მებაღეთა და სახლის პატრონთა. სხდომას დაესწრნენ საგუბერნიო ექიმი ქიქოძე, ქალაქის თავი, გამგეობის წევრნი, საგუბერნიო ტეხნიკოსები და სხვანი. უმთავრესი სათათბირო საგანი კრებისა იყო მტკვრის პატარა ტოტისა და ეგრედ წოდებულის „ნემეცების" არხის" გასუფთავება. მტკვრის მარჯვენა ტოტის შესახებ სხდომამ მიიღო ასეთი დადგენილება: დაევალოს ქალაქის გამგეობას ამ ტოტზე მტკვრიდან გადმოუშვას მეტი წყალი, რითაც შესაძლებელი იქნება მისი მუდამ სუფთად შენახვა. „ნემეცების არხის" შესახებ გამოირკვა, რომ მის შესაკეთებლად და გასასუფთავებლად საჭიროა 4800 მან; კრებამ დაადგინა დაევალოს ქალაქის გამართოს თათბირი სახლის პატრონებსა და მებაღეებთან, რომელთაც უნდა იკისრონ ფულის გამოღება არხის შესაკეთებლად.

✦ **ახალი საბჭოქაული.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა, გამოჰყოს სიღნაღის მაზრიდან ელდარის და უსუფლის სოფლის საზოგადოებები და განჯის გუბერნიას შეუერთოს. ამ საზოგადოებიდან ცალკე საბოქაულო შესდგება.

✦ **ტრამვაის ვაგონზე თავ-დასხმა.** 19 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ, კიროჩნი ქუჩაზე კურცხალიას შეშის საწყობთან ტრამვაის ვაგონში შეხტა ორი უცნობი შეიარაღებული კაცი, ერთმა ჩააქრო სინათლე, ხოლო მეორე ვაგონის დამტარებელს მარიამიძეს მივარდა, რევოლვერი მიუშვირა, უბრძანა ვაგონი გააჩერეო და ესროლა კიდეც. მარიამიძე ხელში მსუბუქად დაიჭრა. ამის შემდეგ უცნობები მივარდნენ კონდუქტორს, საფულედან ფულის ნაცვლად ბილეთების წიგნი ამოაცალეს და მიიმალნენ.

✦ **სანიტარ-მზრუნველთა სხდომა** პირველი სხდომა ტფილისის სანიტარ-მზრუნველებისა და მათ თანაშემწეთა შესდგა კვირას, 19 აგვისტოს. სხდომას დაესწრო გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი, რომელმაც გააცნო მზრუნველებს მათი ვალდებულება ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის უზრუნველ საყოფელად. ქალაქის სანიტარულ კომისიის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქნა ა. ს. ღულაძე. შემდეგი სხდომა კომისიას ექნება ხვალ, 22 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ.

✦ **დაპატიმრება.** ტფილისის პოლიციამ დააპატიმრა ტფილისის ტრამვაის მოძრაობის უფროსის თანაშემწე ტერ-მათეუზოვი, რომელიც მეტეხის საპყრობილეში გაგზავნეს. მიზეზი ვერ გავიგეთ.

✦ ქალაქის კასაში ფულის შემოკლების გამო გუშინ, 20 აგვისტოს, ტფილისის თვით მართველობის მოხელე-მოსამსახურეთ ჯამაგირი არ მიუღიათ.

✦ 18 აგვისტოს, მალაკნების ქუჩაზე, ქურდებმა გასტეხეს ზინგერის ფირმის მაღაზია და გაიტანეს 14 საკერავი მაშინა, 894 მანეთად ღირებული.

✦ 18 აგვისტოს, საღამოს 9 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებ კონსტანტინე ოსტანოვმა მიიღო ერთი ჩაის სტაქანი კარბოლის სიმჟავე. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 18 აგვისტოს, დილის 4 საათზედ, ორბელიანის ქუჩაზე უცნობი კაცი კახანოვსკის ბაღში შეიპარა. იქიდან სახლში შესვლას აპირებდა, მაგრამ აივანზე მდგომმა დარაჯმა შენიშნა და რევოლვერი ესროლა. ქურდი მიიმალა.

### ვის ხელშია დღეს სოფელი.

(წერილი შინდისიდან)

15 აგვისტოს ჩვენს სოფელს ეწვივნენ გორის მაზრის უფროსი ბაქრაძე და იმისი თანაშემწე ბარათაშვილი. გლეხებს ჩვეულებისამებრ ჩოჩქოლი შეუდგათ, ეგონათ—თავს რამე ახალი უბედურება დაატყდათ, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მაზრის უფროსი მამასახლისის „საგმირო საქმეების" გამოსარკვევად მოსულიყო.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ გუგუშვილმა მთელ გორის მაზრაში მამასახლისებად ოსი სტრაჟნიკები დააყენა. მათ შორის თავის ინკვიზიურის მოქმედებით თავი იჩინა ვასილ მამიევმა. ეს ვაჟბატონი ის მამიევი გახლავთ, რომელმაც ააწიოკა კარალეთელები და რომლის სახელსაც იქ წყევა-კრულვით იხსენიებენ.

როდესაც კარალეთელებმა დიდის ვაივაგლახის შემდეგ თავიდან მოიშორეს მამიევი, იგი ჩვენ, შინდისელებს, დაგვინიშნეს მამასახლისად. ისედაც დაჩაგრულ შინდელებს, მამიევმა იანვრიდან დაწყებული მუსრი გაავლო,—რომ უფრო ნათლად დავუსურათო მკითხველს ვისილ მამიევი, მოვიყვან რამდენსამე მაგალითს იმის ნამოქმედარიდან.

ერთ გლეხკაცს, დათა საბანაძეს, ფული ემართა თავის ბიძაშვილისა, რომელმაც უჩივლა მამასახლისთან. ამ უკანასკნელმა დაიბარა დათა საბანაძე და უბძანა, იმ წამსვე ჩაებარებინა ფული. საბანაძე შეევედრა, ცოტა დამაცადეთო. საბანაძის თხოვნა მამასახლისმა არ შეიწყნარა და იმ წამსვე უბძანა სტრაჟნიკებს ეცემნათ. საბრალო, იატაკზედ გააწვინეს და დაუწყეს ურჯულოდ ცემა, მაგრამ მამიევმა ესეც არ აკმარა: გაუყარა მკლავებში თოკი, ჩამოჰკიდა ხეზედ და მთელი ორი საათის განმავლობაში სცემდა, შემდეგ უბრძანა სტრაჟნიკს—თოფი ესროლა. რასაკვირველია, სტრაჟნიკი უმალ ეცა თოფს და დაუმიზნა თავის მსხვერპლს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა სოფლის მწერალი, კოლა პაპელაშვილი, და როგორც იყო სიკვდილს გადაარჩინა ცემით დაჟეჟილი კაცი. მერე ჩამოიღო თოკიდან და გაჰგზავნა სახლში, მაგრამ არც შემდეგ აძლევდა მოსვენებას: როცა საბანაძე გამოივლიდა სოფელში, მამასახლისი დაუძახებდა და მიუთითებდა იმ ხეზედ, რომელზედაც მთელი ორი საათი ეკიდა. ამ აძავს [illegible] გულს, გული უკვნესოდა, მაგრამ ვის შეეძლო ხმის ამოღება!

ერთ საღამოს დაიჭირა გლეხი კაცი, ლაზო ბაჭაძე, ჩააცივდა რევოლვერი გაქვსო, უნდა მომცე და ბოქაულს ჩავაბაროო. ბაჭაძეს რევოლვერი არა ჰქონდა და აბა რას მისცემდა! დააწვინეს, ერთი სტრაჟნიკი თავზე დააჯდა, მეორე ფეხებზედ, ორიც დაადგნენ მათრახებით და მთელი ტანი დაულურჯეს ცემით. სტრაჟნიკები რომ დაიღალენენ ცემით, მამიევმა წამოაყენა ცოცხალ-მკვდარი კაცი და მოსთხოვა ერთი თუმანი, ვითომდა რევოლვერის საყიდლად და ბოქაულთან წარსადგენად. დიდის ხვეწნის შემდეგ სამ მანეთზე დაჰყაბულდა, რაც იმ საღამოსვე ჩაიბარა. რა რევოლვერსაც იყიდდა სამ მანეთად, ეს თვით მკითხველმა განსაზღვროს. მამიევმა კარგად იცოდა, რომ ბაჭაძეს რევოლვერი არა ჰქონდა, მაგრამ სამ მანეთიანის კვნესა ჰქონდა და სანამ არ მიიღო, არ მოისვენა.

არც აზნაურებს დააყარა ხეირი. ერთ მათგანს, დავითიშვილს, ჯარიმა შეაწერა ხუთი მანათი. დავითიშვილმა არ იცოდა, რათ უნდა გადაეხადნა ხუთი მანათი, მივიდა მამასახლისთან და უთხრა: „ბატონო! გამაგებინეთ, რად უნდა გადავიხადო ხუთი მანათიო. ამ სიტყვების შემდეგ მამასახლისმა იქვე ხალხში გაარტყა სილა, შემდეგ ოთახში შეიყვანა და იქ შეუსრულა: წააქცია, ერთი სტრაჟნიკი თავზედ დააჯდა და ხელები დაუჭირა, მეორე ფეხებზედ, ხოლო თვითონ სახრით სცემა. მთელ სოფელს ესმოდა მისი ყვირილი, როგორც იყო, აქაც მწერალმა გააგდებინა ხელიდან. რადგან მწერალი ხშირად უშლიდა მამიევს ცემას, ამიტომ მწერლის ჯავრიც ამოიყარა და რამდენიმე სილა იმასაც უთავაზა. ერთ გლეხკაცს კიდევ იმისთვის სცემა, რომ წავიდა და იჩივლა ბოქაულთან; ამისი დამნახველები რაღას გაბედავდნენ ჩივილს.

მამიევის თქმა ის იყო, „პრისტავიც მე ვარ და ნაჩალნიკიც, მე გუბერნატორმა დამაყენა და ვერავინ გამომცვლის"-ო. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ კაცს შარვალი გახადა და ისე სცემა. ამისთანა ფაქტი ბევრია, მაგრამ არ მინდა მკითხველს ნერვები ავუშალო. მთელ სოფელში სულ რამდენიმე კაცი არ მოიპოვება, რომლისთვისაც არ ეცემოს ან ქრთამი არ გამოერთვას. მამასახლისი და სტრაჟნიკები უნდა თავის ხარჯზედ ყოფილიყვნენ, მაგრამ ცემა და ქრთამის გარდა მთელი სოფელი გაანადგურეს ღვინით, პურით, ქათმებით, თივით და სხ. ასე გასინჯეთ ცხენებსაც კი გამომცხვარ პურს აჭმევდა იმ დროს, როდესაც შინდელებს ეხლავე პური აკლიათ. საცა კარგი ნაფუზარი იყო, ცხენებს იქ შელალავდა მამასახლისი და აოხრებინებდა იჭაურობას.

მამასახლისის შემყურე ჩაფრებიც ძალზე წათამამდნენ, ჩადიოდნენ იმას, რაც ნებავდათ. ან კი რისა უნდა შინებოდათ, როდესაც მათი ბრძანებელი ხელს დაჰფარებდა მათ საქციელს. აი ნიმუშიც. იყო შემთხვევა, როდესაც შინდიშის განაპირა გლეხის რ. ნ—ს სახლში ღამე შევარდა ერთი ოს-ჩაფართაგანი იმ დროს, როდესაც ქმარი შინ არ იყო. ქალმა შეჰქნა საშინელი ღრიალი და, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, ტანისამოს შემოგლეჯილი, გავარდა მეზობლებთან. მეორე-მესამე დღეს მოვიდა მამასახლისთან საჩივლელად ქმარი შეურაცხყოფილ ქალისა. მამასახლისმა გადაუგდო სამი მანეთი და სასტიკად უბრძანა გლეხს, არსად ეჩივლა. გლეხი გაჩუმდა და ბოღმა გულშივე დაიმარხა.

მამიევის თავხედობა იქამდის მივიდა, რომ აქ მცხოვრებ ალათია ყიფშიძისას ოფიციალურ ქაღალდზედ ბრძანება მისწერა სასტიკად: გაგვზავნე ერთი სადღვინე ღვინო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სწერდა მამიევი, ამოვალ და მარანს დაგიბეჭდავო. ალათია ყიფშიძისამ ღვინო გაუგზავნა, მაგრამ ბოლოს ის ღვინო მამიევს ძალიან ფასად დაუჯდა. საერთოდ ქრთამი ძალიან უყვარდა, ხუთ მანეთიანი და თუმნიანები ისე გაუტკბა, რომ ვისთანაც ფული ეგულებოდა, მოუდებდა რამე შარს და სანამ ფულს არ გადაახდევინებდა, ან სცემდა, ან დაჭერილი ჰყავდა.

---

გიჟი არ იყო, და ამ სიგიჟეს—რომ პოლიტიკური განთავისუფლება რომელიმე ჩაგრულ ერისა პოგრომჩიკების ბატონობაა—იგი არ იტყოდა და არც უთქვამს. ბაკუნინის პოლემიკა ახსოვს ავტორს მაძინისთან და გაიძახის—ბაკუნინის აზრი და გარიბალდისა ეროვნულ საკითხზე სხვა და სხვა იყოო. გმადლობთ ამ დიდ აღმოჩენისათვის, მაგრამ აქაც თქვენი ნასროლი მიზანს ვერა სწვდება: ბაკუნინი მაძინის „იეზუიტიზმს", ე. ი. მის რელიგიოზურ რწმენას ებრძოდა და არა იტალიის თავისუფლებას, და აქ არც გარიბალდია შუაში და არც თვით იტალიის განთავისუფლება ავსტრიის უღლიდან.

კროპოტკინის თხზულებაში კიდევ უფრო ნათლადა სჩანს ასეთი სამართლიანი შეხედულება ეროვნულ საკითხედ. კროპოტკინი რომ ბერძნების ცივილიზაციის დამცველია აღმოსავლეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ, არც ერთი ისტორიკოსი არ არის ისეთი: კროპოტკინის აზრით, აღმოსავლეთის შემოსევამ დაჰღუპა როგორც ეგვიპტეს ცივილიზაცია, ასე შემდეგ საბერძნეთისა. მარათონის გმირები, რომელთაც ჩვენი ფილოსოფი, რასაკვირველია, „პოგრომჩიკებს" დაუძახებს, საუკეთესო წარმომადგენლები. იყვნენ ბერძნულის თავისუფლებისა. გააღმოსავლეთებულმა მაკედონიამ და შემდეგ რომმა, კროპოტკინის აზრით, ხომ სრულიად მოჰკლეს მთელი ბრწყინვალე ეპოქა ევროპის ცივილიზაციისა. რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც კი ეშინოდა კროპოტკინს „Подлый Востокъ"-ისა. შეიძლება კროპოტკინი სცდებოდეს, მაგრამ სწორედ ეს მისი შეცდომაა ჩვენთვის ხელ-საყრელი არგუმენტი: ინტერნაციონალისტს, მიუხედავად იმის ინტერნაციონალისტობისა, რამდენადაც იგი სცდება სამართლიანად ემღვრევა გული, როდესაც ჰხედავს, რომ ერთი კულტურული ერი იღუპება მეორე დესპოტიურ ერისაგან. წაიკითხეთ აგრეთვე მისი პატარა წიგნი—un siècle d'attente. იქ რეზიუმეა მე-XIX საუკუნის ისტორიისა. ამ საუკუნის რევოლიუციებს იგი დიდ პროგრესსადა სთვლის, თუმცა რასაკვირველია, სოციალიზმის ნასახიც არ განხორციელებულა. ამ პროგრესის ერთ ნაწილად მას მიაჩნია რამოდენისამე ერთა განთავისუფლებაც, რადგანაო, ამბობს კროპოტკინი, სოციალიზმი არა შეყარდება დაჩაგრულ ერთა შორის იმ დრომდე, სანამ ისინი პოლიტიკურსა და ეროვნულ თავისუფლებას არ მოიპოვებენო. ირლანდიის მუშა შემცდარიაო, ამბობს კროპოტკინი, როდესაც იგი ნაციონალისტურ მოძრაობას მხარს უჭერს, მაგრამ ეს აუცილებელი და ბუნებრივია, და ირლანდიაში მხოლოდ მაშინ მოიკიდებს ფეხს სოციალიზმი, მხოლოდ მაშინ მოიკიდებს ფეხს ნამდვილი კლასსთა ბრძოლა და მოისპობა ერთა ბრძოლა, როდესაც ირლანდია თავისუფალი იქნებაო. ამ მხრით იტალიის განთავისუფლება, სერბიისა და ბოლგარიის სახელმწიფოთა დადგენა დიდი პროგრესსი იყო, სწორედ იმიტომ რომ ამ ქვეყნებში მხოლოდ ამ პოლიტიკურ თავისუფლების შემდეგ შევიდა სოციალიზმი და მოიკიდა ფეხი. ჩვენის ფიქრით, ეს დაწყებული პროცესსი ერთა განთავისუფლების არ გათავებულა, მეოცე საუკუნემ, სხვათა შორის, ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს,—უნდა განთავისუფლდნენ დაჩაგრული ერები, ყველანი, რომ მათაც შეეძლოთ ნამდვილი სოციალისტური მოძრაობა და თავისუფლად და არა სხვის შტიკის ძალით განმტკიცება საერთაშორისო სოლიდარობისა. უამისოდ —ხიმერაა ეს სოლიდარობა.

ამავე წიგნში კროპოტკინის პატივისცემა გარიბალდისადმი და სხვა პატრიოტთადმი განუსაზღვრელია. განუსაზღვრელია მისი მათდამი სიმპატია. დიდია ტანჯვა სოციალისტებისა და რევოლიუციონერებისაო, ამბობს კროპოტკინი, მაგრამ პატრიოტების ტანჯვასთან ეს ტანჯვა არარაობააო. მათი სულის სიძლიერე განუსაზღვრელი იყო მართლაც, და მხოლოდ ჩვენის კრიტიკოსისთანა ადამიანს შეუძლიან გარიბალდისა, მაძინისა და კოშუტის შეურაცხყოფა უშვერის და მურტალის პირით და მათი „პოგრომჩიკებთან" შედარება. გარიბალდი, რომლის ცხოვრება მართლაც უწმინდესი იყო, კაცი, რომელმაც შესწირა თავი ევროპაში უუკულტურეს ქვეყნის განთავისუფლებას უუმხეცეს და უურეაქციონერეს ავსტრიისაგან, კაცი, რომელიც აღმერთებდა საფრანგეთის რევოლიუციას, რომელიც უკანასკნელად მოხუცების დროს შეებრძოლა პრუსსიის მონობას საფრანგეთის თავისუფლების დასაცველად, კაცი, რომელიც საუკეთესო მეგობარი იყო პარიზის კომმუნისა და ზიზღით ღირსეული პასუხი მიუგო ჩარლში შეკრებილ რეაქციონურ ნაციონალურ კრებას, როდესაც ამ კრებამ მას შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა იგი დეპუტატი იყო საფრანგეთის ხალხის მიერ არჩეული,—ეს კაცი „პოგრომჩიკი" იყო, ან იტალიაში და საფრანგეთში „პოგრომებს" შეუწყო ხელი? რა სინიდისი გაქვსთ, ასეთი სიმყრალე ჰყაროთ პირიდან? ქუდები მოიხადეთ და დაიჩოქეთ გარიბალდისთანა კაცების წინაშე, ნუ ახსენებთ მათ დიდებულ სახელებს! თქვენ ღირსნი არა ხართ მათის სახელის ხსენებისა, რადგან მათი მემილიონედი ტანჯვაც რომ შეგხვდეთ, ორშაურად გაჰყიდით იდეასაც და ქვეყანასაც. ბრახუნითა და ტრაბახით კაცი არ დაფასდება, დიდებულთა გინებით საშუალოზედ ნაკლები კაცუნა სახელს ვერ მოიხვეჭს, მხოლოდ უფრო დამცირებს თავსს.

Bâton.

(დასასრული იქნება)

ამ მდგომარეობაში იყვნენ შინდელლები მთელი რვა თვე და ითმენდნენ ყველა უბედურობას. ბოლოს, როგორც იყო, მოვიდა მაზრის უფროსი, გამოჰკითხა ხალხს ყველაფერი, იქვე ჯაჭვი აასხა მამასახლისს და ჩამოაშორა შინდელლებს. შინდელლები დღესაც წყევა-კრულვას უგზავნიან მამიევს.

მეორე დღესვე გამოგვიგზავნეს ახალი მამასახლისი ალექსიძე.

აი, ასეთ ყოფაშია და ასეთ ინკვიზიტორის ხელშია დღეს ჩვენებური სოფელი! **ნ. ყ.**

# რუსეთი

✦ **მომავალი არჩევნები.** ამ დღეებში ადესაში მოხდარა კონფერენცია ებრაელთა სოციალ. მუშათა პარტიის სამხრეთ რაიონისა (სეი მოვცებისა). კონფერენციამ დაადგინა ბოიკოტი გამოეცხადოს მომავალ სახელმწიფო სათათბიროს და მოეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან გადაათვალიეროს თავისი გადაწყვეტილება შესახებ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და იხელმძღვანელოს რაიონულ კონფერენციების დადგენილებით.

კიევში შარშან სათათბიროში სარჩევნო ცენზი ჰქონდა 26000 კაცს, წრეულს კი ცენზი ჰქონია 19000 კაცს. ყველა ქალაქში და სხვანაც ასე დაიკლო ამომრჩეველთა რიცხვმა 3 ივნისის კანონის წყალობით.

✦ **დუბროვინის წერილი.** ჭეშმარიტ რუსთა ერთმა ბელადთაგანმა დუბროვინმა წერილი მისწერა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს, რომელიც, ხმა დადიოდა, ჭეშმარიტ რუსების ალაგმას აპირებსო. დუბროვინი უმტკიცებს სტოლიპინს, რომ ჭეშმარიტი რუსები არასდროს არ ცდილან მთავრობისთვის სახელი გაეტეხათ. უოველთვის კანონიერად მოქმედებდნენ და ამიტომ „უსამართლოა მათი დევნა (!?) უმაღლეს მთავრობის მხრით“. დასასრულ დუბროვინი ურჩევს სტოლიპინს მიემხროს ჭეშმარიტ რუსებს მომავალ არჩევნებში, რათა „შეერთებულ ძალით დაამარცხონ საერთო მტერი“ და დაამყარონ მშვიდობიანობა რუსეთში.

✦ **საერობო კრება.** ორი თვე არც კი გასულა რაც დასრულდა სრულიად რუსეთის საერობო კრება და გამარჯვებული რეაქციონერები, რომელთაც უკანასკნელ არჩევნების დროს ერობა ჩაიგდეს ხელში, 25 აგვისტოს ხელმეორედ იკრიბებიან თავიანთ პოზიციის გასამაგრებლად. მთავრობამ ნებართვა მისცა სრულიად რუსეთის კრების მოწვევისა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო

**რ უ ს ე თ შ ი.**

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორმა ექიმებს და ფერშლებს გამოუცხადა: სამ თვეს საპატიმროში ჩაგსვამთ, ანუ 3000 მანეთით დაგაჯარიმებთ, თუ დაუყონებლივ არ შემატყობინებთ, როცა ვინმე ტყვიით დაჭრილი მიგიწვევთ საექიმოდაო.

**ნიკოლაევსკი-პრიმორსკი.** სამი დღეა, რაც ქალაქში ცეცხლი მძვინვარებს. ამბობენ, ცეცხლი განგებ არის წაკიდებულიო. მიზეზად სახავენ კორეელების და რუს მუშების ურთიერთ შორის მტრობას. რუსები ლოთობენ და მუდამ ხელფასის მომატებას თხოულობენ. კორეელები კი მცირე ხელ ფასს სჯერდებიანო.

**ლოძი.** 17 აგვისტოს ვსხოდნი ქუჩაზე ტყვიით მოჰკლეს ებრაელი. ნავროტის ქუჩაზე მოჰკლეს მუშა.

საღამოს, პეტერბურგის ქუჩაზე, 15 ბოროტ-მოქმედი თავს დაეცა ტრამვაის ვაგონს, მძიმედ დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი და მისი თანმხლები ერთი ჯარის-კაცი.

**ჩერნიგოვი.** 6 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა სადგურ სვე'სას კასას. წაიღეს 2355 მანეთი.

**ლიბავა.** პოლიციამ შეიპყრო მძარცველთა ბრბო.

**ცლომსკი.** 17 აგვისტოს ბიისკთან ხელახლა თავს დაესხნენ ფოსტას, ერთი თავდამსხმელთაგანი შეიპყრეს.

**კიშინიოვი.** დაიწვა საქონლის სადგური. განადგურდა რამდენიმე ათასი ფუთი ხორბალი, 15 ვაგონი, თამბაქოთი სავსე, და ბევრი სხვა საქონელი.

**ცულა.** სამაზრო საერობო კრებაზე აირჩიეს 26 ხმოსანი. ყველა მემარჯვენეა.

**ჩერნიგოვი.** სამაზრო-საერობო კრებაზე აირჩიეს 10 ხმოსანი. უმრავლესობა ზომიერია.

**ჟიტომირი.** ტუსაღმა საპატიმროში მოჰკლა მეთვალყური, დასჭრა სატუსაღოს უფროსი გინკოვსკი და უფროსი მეთვალყურე კრავჩენკო.

**პერმი.** რუევის ქარხანაში შეიპყრეს 5 მძარცავი, უპოვნეს რამდენიმე ყუმბარა, 2 ბრაუნინგი, 2 მაუზერი. 356 პატრონა და 49 პასპორტი მუშებისადმის. პასპორტები მოტაცებულია პოკლევსკის აზნესტის მოედანზე.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ დრუჟკოვკის მახლობლად სამის ტყვიით დასჭრეს ლიანდაგზე მიმავალი დონეცკის ქარხნის პოლიციის მეთვალყურე გოზდევი; დასჭრეს აგრეთვე ელისევსკის ქარხნის გამგის კუზნეცოვის ქალი. ოთხი საათის შემდეგ გოზდევი გარდაიცვალა.

**ჩერნიგოვი.** გენერალ გუკოვის სახლში მკვლელობა ამნაირად მოხდა. 16 აგვისტოს ხუტორ როჯნიში ძმები გუკოვები თავიანთ სახლობითურთ ბაღში ვახშმობდნენ. მათ თავს დაეცა 6 ავაზაკი. მოჰკლეს ძმები, ერთ-ერთის შვილი სტუდენტი და ერთი ნათესავი ქალი.

**პეტერბურგი.** ინგლისისა და რუსეთის მოლაპარაკება გათავდა. მოლაპარაკება შეეხებოდა ზოგიერთ საკითხის მოწესრიგებას აზიაში. კონვენციას ხელი მოაწერეს 18 აგვისტოს პეტერბურგში რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა და პეტერბურგელმა ინგლისის ელჩმა. კონვენციას ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ.

**ოდესა.** სადამოზე ვიდაცეებმა სროლა აუტეხეს პოლიციელებს. მოჰკლეს უბნის ზედამხედველი, მძიმედ დასჭრეს ორი პოლიციელი და ერთი გარეშე. მსროლელნი მიიმალნენ.

**ჩერნიგოვი.** სოფ. დიდ-ლისტვინში მოჰკლეს პოლიციის ურიადნიკი და ერთი სტრაჟნიკი, მეორე სტრაჟნიკი მძიმედ დასჭრეს. ორი კაცი დააპატიმრეს.

**ჰელსინგფორსი.** აბოს გოფგერიხტმა განაჩენი გამოაცხადა იმ ფინნების საქმის გამო, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სვეაბორგის ამბოხებაში. 81 კაცს მიესაჯა კატორგის საპატიმრო სხვა და სხვა ვადით.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კნიაგინინის და ნიჟეგოროდის საერობო კრებაზე აირჩიეს უმთავრესად მემარჯვენენი.

**სამარა.** ნოვოუზინის მაზრის მატელნიკოვის ხუტორს თავს დაეცა სამი უცნობი კაცი. მოჰკლეს ნოქარი და წაართვეს 5700 მანეთი. ერთი კაცი დააპატიმრეს, მეორემ თავი მოიკლა.

**უფა.** 17 აგვისტოს გამოსვლელად გამოგზავნილმა პატიმრებმა მოჰკლეს სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს ექიმი კაპლანი.

**ოდესა.** პეტრეპავლოვის საპოლიციო ნაწილის ეზოში აფეთქდა ყუმბარა, რომელიც უეცარდად გაუვარდა პარუჩიკს კაზაროვს. მოკვდა თვითონ კაზაროვი, პოლიციელი, მაწარმოებელი. დაიჭრა ექვსი. ყუმბარა აღმოაჩინეს შჩეპნოვის ვიწრო ქუჩაში ერთი სახლის ჩხრეკის დროს და კაზაროვს დასაცლელად გარდასცეს.

**პეტერბურგი.** დღეს ოფიციალურად გამოაქვეყნებენ იმ შეთქმულების საქმის წარმოებას, რომელიც ამ დღეებში განიხილა სამხედრო სასამართლომ. გამოაქვეყნებენ ბრალდებულთა (სამს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს) და მოწმეთა ჩვენებას.

**პეტერბურგი.** 19 აგვისტოს აკურთხეს ახალი ეკკლესია, აგებული იმ ადგილას, სადაც მოკლულ იქმნა იმპერატორი ალექსანდრე მეორე, კურთხევას დაესწრო ხელმწიფე.

**ვარშავა.** 18 აგვისტოს პავიის ქუჩაზე „ოხრანნი“ განყოფილებამ დააპატიმრა პოლონელ სოციალი ტურ პარტიის კრება. შეიპყრეს 15 კაცი, ნახეს ბევრი დოკუმენტი და არალეგალური ლიტერატურა.

**ლოძი.** ვიძენის ქუჩაზე, საცეკვაო დარბაზში მოჰკლეს ახალგაზდა კაცი. 19 აგვისტოს მძიმედ დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი. უცნობებს სალდათები გამოუდგნენ. მათ სროლა ასტეხეს და დასჭრეს გარეშე მუშა.

**კიშინიოვი.** კიშინიოვის სადგურზე შეიპყრეს ფაკტოროვიჩი, რომელსაც ყუმბარა აღმოაჩნდა. ფაკტოროვიჩმა დაასახელა ის პირი, ვინც მიანდო ყუმბარის შენახვა. ამ დასახელებულ კაცის სახლი გაჩხრიკეს, დააპატიმრეს ოთხი ქალი. ნახეს მიწერ-მოწერა.

**ეკატერინოსლავი.** სოფ. ნოვოსელოვკაში ექვსი კაცი დაეცა ბროდინის სახლს. სროლის დროს მოჰკლეს შემთხვევით მიმავალი გლეხი, დასჭრეს ქალი. ორი უცნობი შეიპყრეს.

მატარებელში მოჰკლეს რუსის საგარეო ვაჭრობის ბანკის მოხელე, იმისი დარაჯი და ერთი მგზავრი. ერთი მკვლელი დასჭრეს და შეიპყრეს.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

17 აგვისტო.

**კაზაბლანკა.** 15 აგვისტოს შეტაკების დროს ფრანგებს მოუკლეს სამი კაცი, ხოლო დაუჭრეს 12.

**ბუდაპეშტი.** დაბა პნატაში ბრბოსა და ჯარის კაცთა შორის შეტაკება მოხდა. მიზეზი გლეხის მიერ აფიცრის შეურაცხყოფაა. ჯარის კაცები მოქმედებდნენ თვითნებურად და არა უფროსთა ბრძანებით. ხალხიდან ერთი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს.

**პარიჟი.** «ეკო დე პარი» იუწყება, რომ საბერძნეთის მეფემ ადმირალ ფურიეს მიანდო საბერძნეთის ფლოტის რეორგანიზაციაო.

**ბერლინი.** «კელნიშე» იუწყება, რომ აბაშელთა დელეგატების მოსვლის მიზანია, დაამყაროს სახელმწიფოს შორის უფრო მტკიცე მეგობრული განწყობილებაო.

**სტამბოლი.** პორტამ გადასწყვიტა, განაგრძოს ენერგიული ბრძოლა რაზმელებთან. მათ წინააღმდეგ ადგენენ 6 ბატალიონს.

**ლონდონი.** «ტაიმსი»-ს აზრით, სპარსეთის რეფორმების სიმტკიცე საეჭვოა, მოსალოდნელია რეაქციის გამარჯვება. ამიტომ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ და თანხმობით იმოქმედონ, თუ ვინიცობაა საქმე გართულდა. ამ მხრივ რუსეთ-ინგლისის შეთანხმება ძლიერ სასიამოვნოაო.

**თეირანი.** 19 აგვისტოს საღამოთი, მეჯლისიდან გამოსვლის დროს ოთხი ტყვიით მოჰკლეს ათაბეგ-აზამი, შაჰის პირველი მინისტრი.

**პარიჟი.** ადმირალი ფილიბერი იუწყება: მაზაგანელებთან მოლაპარაკება გრძელდება. კაზაბლანკთან მაროკოელებს ჰყავთ 6000 კაცი. მოგადორში ხალხი ცოტად დამშვიდდა.

**თეირანი.** ათაბეგი მოჰკლეს საღამოს 8 საათზე, როცა მუშტეიდს სენდაბულას გიმოემშვიდობა და ეტლში ჩაჯდომას აპირებდა. ერთი ტყვია კისერში მოხვდა, მეორე მკერდში. მკვლელი იქვე მოჰკლეს. ათაბეგის გვამი გუბერნატორის სახლში წაასვენეს. ქალაქში მშვიდობიანობაა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. აგალიშვილი.**


# განცხადებანი

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-მიერ** შედგენილი

სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

**მეორე** გამოცემა შევსებული და შესწორებულია. (5—6—3)

უმორჩილესად ვთხოვ ყველა იმათ, ვისაც მიღებული ჰქონდა გასასყიდად პავლე აკობიას ბროშურები:

1. „ხალხის მტერია სოციალ დემოკრატია“; 2. „ბნელეთის ევოლიუცია, თავგ-უშმაკთ რევოლიუცია“; 3. „სესია“ მეგრული ლექსთა კრებული; 4 სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“.

სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ქიათურაში, ყვირილაში, გორში, სურამში, ახალციხეში, თელავში, სიღნახში, საგარეჯოში და ბაქოში,

გამოგზავნონ გაუყიდავი ბროშურები და გაყიდულის ფასები შემდეგის ადრესით: Типографія „Идеалъ“. (3—6—1)

მანეთ ნახევარი

**დღეში**

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელათვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—13)

**მასწავლებელთა საყურადღებოთ!**

**„არითმეტიკული კრებული“**

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** (20—193—19)

თელავში **„ნადიკვარს“** ახლოს,

ისყიდება თირმეტი ნაჭერი სამოსახლო მიწა; თვითეული შეიცავს ას ოთხკუთხიან საჟენს (10×10). უბნის შუა, ჯვარედინად, დატოვებულია საკმაო ადგილი ბულვრისათვის. მთელს უბანს გარშემო უვლის გზა, ისე რომ ყოველი ეზო გამოდის გზაზე და ბულვარში. ფასი თვითეულის ნაჭრისა—ასი მანეთია. აქედან ნახევარი დანიშნულია ბულვარისა, ქუჩისა, წყაროსი და სხვა საზოგადო საჭიროებათა მოსაწყობად საერთო ძალით და რჩევით. წყარო ბულვარის შუაზე უნდა იქმნას დაყენებული. ფული მსურველს შეუძლიან გადაიხადოს ერთხნობით ანუ ნაწილ-ნაწილად, მაგრამ არა ნაკლებ ორის მანეთისა თვეში, რომ ოთხ წელიწადში მოშორებულ იქმნას მთელი ფასი. გარდა ამისა მსყიდველი მოვალეა შემოიტანოს ყოველთვე არა ნაკლებ ერთის თუმნისა სადგომი სახლების ასაშენებლად ყოველი მოსახლისათვის, ვიდრე გადაიხდიდეს მთელი შენობის დანახარჯსა, თვითეული სახლი უნდა შეიცავდეს ორსამ ოთახსა, სამზარეულოსა საკუჭნაოთი და ბალკონსა ერთს ჭერს ქვეშ, არა ნაკლებ 5×5 საჟენისა ამათს ქვეშ. მსყიდველი შედის ადგილის მოხმარებაში პირველი შესატანის დღიდანვე (არა ნაკლებ 12 მანეთისა, რაშიაც მიეცემა საანგარიშო წიგნაკი), მაგრამ ნასყიდობის ქაღალდი კი მხოლოდ სრული ფასის გადახდის შემდეგ შესდგება მსყიდველის ხარჯით. სადგომი სახლები უნდა აშენდეს ბულვრის მიჯნის შუაზე, რომ მეზობელი მეზობელს არ უშლიდეს და სახლსაც მეტი სინათლე და ბაღი ჰქონდეს, ხოლო სათონე, საქათმე, ბოსელი და სხვა—გზის მიჯნის შუაზე. ვინც მოხსენებულს პირობებს დაარღვევს, მამული სხვას გადაეცემა და შემოტანილი ფულიც ახალი პატრონისაგან ფულის შემოტანის დაკვალად დაუბრუნდება.

მისამართი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (5—ფ—5)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



**კალოშებისა**

და სხვა რეზინის საქონლისათვის

**უმაღლესი ჯილდო**

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის რეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭდს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

**ლეოპოლდ ნეიმელლერ.**

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

**ტფილისში,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვე საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—52)